



ინტელექტუალური საკუთრება


ინტელექტუალური საკუთრება

ავტორი: ია იაკობაშვილი

მსოფლიომ ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ გააცნობიერა, რომ ადამიანს საკუთარი გამოგონებიდან სარგებლის მიღების უფლება აქვს. დღეს ამ უფლებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ჰქვია და აღიარებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული საკანონმდებლო აქტების მიერ. უფრო მეტიც, მაგალითად, ინტელექტუალური საკუთრების ქურდობა დამტკიცების შემთხვევაში ფარმაცევტულ კომპანიებს აშშ-ში 600 მილიარდი დოლარიც კი უჭდებათ.

ზოგადად ინტელექტუალური საკუთრება იმ უფლებათა ერთობლიობაა, რომელიც წარმოიშობა შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების თუ საზოგადოებრივი წარმოების სფეროში.

1967 წელს დაფუძნებული ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კონვენციის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს უფლებებს შემდეგი სფეროებიდან:



წყარო: sakpatenti.gov.ge

რატომაა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა

- პლანეტის პროგრესი და კეთილდღეობა დამოკიდებულია ადამიანების უნარზე, იაზროვნონ შემოქმედებითად და განახორციელონ ახალი იდეები;
- ხელოვანები, მეცნიერები, გამომგონებლები უამრავ დროს, ენერჯისა და ფულს ხარჯავენ საკუთარი ინოვაციების განსავითარებლად. მოტივაციის შესანარჩუნებლად, საჭიროა არსებობდეს მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციის უკან დაბრუნების სამართლებრივი მექანიზმი;

- გონებრივი შრომის პროდუქტების სამართლებრივი დაცვა სტიმულს აძლევს ინოვაციებს, შესაბამისად აჩქარებს ეკონომიკურ განვითარებას და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს;

საპატენტო დოკუმენტაციის აქტუალიზაცია:

წელი	პატენტის მოთხოვნასთან დაკავშირებული განცხადებების რაოდენობა
1990	997 501
2021	3 224 200

წყარო: *statista.com*

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები

- **პატენტი** - მფლობელზე გაცემული ექსკლუზიური უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონების გამოყენება. მას ასევე შეუძლია მესამე პირს ანაბლავრების სანაცვლოდ გადასცეს პატენტი;
- **საავტორო უფლება** - უფლებები, რომელიც წარმოეშვა ავტორს (მწერალს, რეჟისორს, პროდიუსერს, მხატვარს, მუსიკოსს და ა.შ.) მის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან დაკავშირებით. საავტორო უფლების საფუძველზე ავტორს შეუძლია მიიღოს ანაბლავრება და აღიარება;
- **ნოუ ჰაუ** - იგივე კომერციული საიდუმლო, რომელიც მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური, ორგანიზაციული ან კომერციული ინფორმაციაა და მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებული და კონკურენტული ოპერირებისთვის;
- **პლაგიატი** - სხვისი შემოქმედების, იდეებისა და გამოგონებების შეგნებულად მითვისება. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში პირს ეკისრება იურიდიული პასუხისმგებლობა.
- **NFT (Non-fungible token)** - ტერმინი 2017 წლიდან დამკვიდრდა და აღნიშნავს ვირტუალურად არსებულ ნებისმიერ საგანს, საკოლექციო ბარათით დაწყებული, ციფრულ სახლით დამთავრებული, ამ სტატიის ყიდვაც კი, რომელსაც ახლა კითხულობთ, შესაძლებელია. ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული NFT ლებრონ ჯეიმსის NBA Topshot-ის ციფრული სკოლექციო ბარათია, რომელიც 100 ათას დოლარად გაიყიდა. რადგანაც გასაყიდი პროდუქტი ციფრულია, NFT ბაზარსაც ციფრული სახე აქვს და მათი მოძებნა ინტერნეტით მარტივად შეიძლება. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რატომ შეიძლება ვინმეს ციფრულად არსებული ნებისმიერი რამის, თუნდაც გიფის ან ციფრული ნახატი ყიდვა მოუნდეს, საქმე ისაა რომ ადამიანების სურვილები და მოთხოვნები ხშირად უცნაურია და ჩვენი ახირებების ასრულებაში ზოგჯერ დიდი თანხის გადახდასაც არ ვერიდებით. NFT-ის კიდევ ერთი გამორჩეულობა ისაა, რომ მისი გაყალბება ან მოპარვა შეუძლებელია, რაც მფლობელს ინტელექტუალურ საკუთრებაზე კონტროლის სრულ შესაძლებლობას აძლევს, მაშინაც კი თუ კონკრეტული ციფრული პროდუქტის ზუსტ ასლს დაამზადებენ, მისი ორიგინალად გასაღების ალბათობა ნულის ტოლია.

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო დავა

Apple-ს და Samsung-ს შორის

2011 წელს Apple-ს და Samsung-ს შორის გამართული 7 წლიანი სასამართლო დავა დღემდე კორპორატიული პატენტის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულ შემთხვევად ითვლება. Apple სამხრეთ კორეულ კორპორაციას მომრგვალებული დიზაინის და სააპლიკაციო ქსელის განლაგების მოპარვაში ადანაშაულებდა. 2018 წელს Apple-მა საქმე მოიგო, თუმცა საპატენტო უფლებების დარღვევის გამო თავდაპირველად მოთხოვნილი 2.5 მილიარდი დოლარი

სააპელაციო სასამართლოებში საქმის რამდენჯერმე განხილვის შემდეგ 539 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

ვინ იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებას საქართველოში

ინტელექტუალური საკუთრების კუთხით პოლიტიკის დაგეგმვასა და იმპლემენტაციას სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ ახორციელებს. მის მიერაა შექმნილი ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზა, სადაც მომხმარებელს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ქვეყანაში უკვე რეგისტრირებულ ინტელექტუალურ საკუთრებათა და ამ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ჩართული ეროვნული უწყებების შესახებ.

¹PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს

ორგანიზაციული განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

www.pmo-bc.com

(+995 32) 2 37 73 07

რაფიელ ერისთავის ქ.16

თბილისი, 0179, საქართველო



¹ მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – www.pmo-bc.com